ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო
მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი № 39

ქ. ბათუმი „27“ „ივნისი“ 2018 წ.

სხდომას ხელმძღვანელობდა: ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - **ნუკრი დეკანაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ საკონკურსო კომისიის წევრები:

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - **რამაზ მამულაძე;**

პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების იურისტი - **ზურაბ ცეცხლაძე;**

UNDP-GEF პროექტის „მწვანე ქალაქები: მდგრადი ინტეგრირებული ტრანსპორტი ქ.ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის“ ხელმძღვანელი - **ლაშა ნაკაშიძე;**

ა(ა)იპ „დემოკრატიის ინსტიტუტის“ პროექტების მენეჯერი - **ტიტე არაშიძე;**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სასამართლოსთან ურთიერთობის და ადმინისტრაციული დავების განყოფილების უფროსი - **ვახტანგ გედენიძე**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - **კახა დიასამიძე.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული საჯარო კონკურსის **მესამე ეტაპის - გასაუბრება** შედეგების დამტკიცება.
2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული საჯარო კონკურსის **საბოლოო შედეგების მიხედვით გამარჯვებულის** გამოვლენა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ინფორმაცია მ/წლის 22 ივნისს ჩატარებული, კონკურსის მესამე ეტაპის - **გასაუბრების** შედეგების შესახებ, რის საფუძველზეც დგინდება, რომ დარჩენილი 16 (სულ 28 პოზიციიდან) ვაკანტურ პოზიციაზე მონაწილე 20 კანდიდატიდან (26 განაცხადი), **მესამე ეტაპზე - გასაუბრებაზე** გამოცხადდა 18 კანდიდატი, მესამე (გასაუბრების) ეტაპზე გამარჯვებული გამოვლინდა 11 პოზიციაზე, ხოლო კონკურსის სამივე ეტაპის შედეგების მიხედვით 17 პოზიციაზე კონკურსი ჩაიშალა.

აღსანიშნავია, რომ განხორციელდა კონკურსის მესამე ეტაპის - **გასაუბრების** პროცესის ვიდეო ჩაწერა, კონკურსანტთა თანხმობით, 15 მონაწილესათვის.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ, მიზანშეწონილია კონკურსის **საბოლოო შედეგები** გამოქვეყნდეს მ/წლის არაუგვიანეს 30 ივნისისა.

კომისიამ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს კონკურსის მესამე ეტაპის - **გასაუბრების შედეგები** შედეგები, თანახმად **დანართი** N1-სა.

2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული საჯარო კონკურსის შედეგების (მათ შორის მესამე ეტაპის - **გასაუბრების** შედეგების) გათვალისწინებით ცალკეულ ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსი გამოცხადდეს ჩაშლილად, თანახმად **დანართი N2** -სა.

3. იმ კანდიდატებს, რომლებმაც კონკურსის მესამე ეტაპი - **გასაუბრება** ვერ გადალახეს კონკრეტულ ვაკანსიებზე (თანამდებობაზე) ან გადალახეს მაგრამ მიიღეს კონკურენტებთან შედარებით ნაკლები ქულა და შესაბამისად კონკურსის საბოლოო შედეგების მიხედვით ვერ გამოვლინდნენ გამარჯვებულად, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნით. აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებულ პირებს უფლება აქვთ კონკურსის შედეგები გაასაჩივრონ სასამართლოში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. კანდიდატებს, რომლებმაც კონკურსის მესამე ეტაპი წარმატებულად გადალახეს და კონკურსის საბოლოო შედეგებით გამოვლინდნენ გამარჯვებულად, შედეგები ეცნობოთ მათ მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე და დამატებით მობილურ ტელეფონზე sms შეტყობინების გაგზავნით, წინამდებარე ოქმის ოფიციალურად ძალაში შესვლისა და გამოქვეყნების შემდგომ.

5. კონკურსის მესამე (გასაუბრების) ეტაპის - კომისიის სხდომის ოქმი, კანდიდატთა ინფორმირების მიზნით განთავსდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.batumi.ge.

კომისიის თავმჯდომარე: ნუკრი დეკანაძე

კომისიის წევრები:

რამაზ მამულაძე

ზურაბ ცეცხლაძე

ლაშა ნაკაშიძე

ტიტე აროშიძე

ვახტანგ გედენიძე

კახა დიასამიძე